ოქმი:№31. 3123212001
თარიღი:31/07/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N11

ქ. ლანჩხუთი

26. 07. 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ბათი ბოლქვაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ეკა გუჯაბიძე** იმყოფება შვებულებაში და მის ნაცვლად დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხს: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ სხდომას წარუდგენს მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** ასევე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა სამი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-თვის (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

4. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, დავით რამიშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

6. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“-თვის (ს/კ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

10. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N31 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

11. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

12. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ზაზა წულაძე/

13. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების საფუძველია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია და „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N15(26.07.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წელს, წერილობით მომართა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ (ს/კ 433654397) დირექტორმა ეკატერინე ჩუბინაშვილმა, რომელმაც შპს-ს წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მისი არსებობის ვადით, ითხოვა ქალაქ ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N37-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე დაყოფის საფუძველზე არსებული N12 – 8.88 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01.504), N13 – 10.06 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01.505), N14 – 13.09 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01.506), N29 – 29.87 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01.507) ფართების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N49(26.07.2023).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-თვის (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 4 ივლისს N 55 წერილით (კანცელარიის ნომერი N 10/30231862-30 05.07.2023 წელი.) მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-ს (ს/ნ 233732565) დირექტორმა ნატო კობალავამ, რომელშიც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონებების :

სოფელ ეწერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - 1320 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის - 374,30 კვ.მ. (ს/კ 27.11.46.001); სოფელ ჩიბათში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - 3 139 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობის - 487,20 კვ.მ (ს/კ 27.09.45.002); ქ. ლანჩხუთში მარჯანიშვილის ქ. N 9-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - 3 186 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის - 740.10 კვ.მ. (ს/კ

27.06.56.015)

სოფელ მაჩხვარეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - 3 812 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 1 129,60 კვ.მ. (ს/ კ 27.07.41.001);

სოფელ შუხუთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - 5 783 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის - 1 342,20 კვ.მ (ს/კ 27.05.46.012); სოფელ ხიდმაღალაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - 3 200 კვ.მ. და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობის - 205,10 კვ.მ. (ს/კ 27.15.52.011) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემა საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის. მან აღნიშნა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ უძრავ ქონებებზე არსებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებებს ვადა გაუვიდათ და მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრ“-ს (ს/ნ 233732565) გადაეცეს უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით ზემოთ აღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N50(26.07.2023).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, დავით რამიშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ 2023 წლის 27 ივნისს, ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის დირექციის #770060 წერილი, რომელიც ეხება სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის, „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის“ ორდენით დაჯილდოებულის, ამავე სკოლის აღზრდილის - დათო რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ. სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის დათო რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ განხილულ იქნა სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N51(26.07.2023).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის

მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიღების საფუძველია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მოხსენებითი ბარათი (წერილის ნომერი:04-302317737; თარიღი: 26/06/2023). ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებით ძალადაკარგულად ცხადდება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილება. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის წარმოდგენილი სახით მიღება, საშუალებას მოგვცემს წავახალისოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლების წარმატებული პედაგოგები, ასევე ხელოვნების სხვადასხვა დარგის ინდივიდუალური შემსრულებლები, ხელოვნების წარმომადგენლობები, შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირები, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული ახალგაზრდები, გრანპრის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი ლაურეატები. აღნიშნული პროექტის ახალი ვერსია ითვალისწინებს და აზუსტებს, როგორც ჯილდოს მიღების, ასევე პროექტების თანადაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, რაც უკვე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში.

საკრებულოს წევრი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, იყო თუ არა გათვალისწინებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ბიუჯეტში თანხები, ოცდაერთ წლამდელთა ფეხბურთის ჩემპიონატზე დასწრების ორგანიზებისათვის.

მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოქმედებს - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის მიხედვითაც თანხები გამოყოფილია მსგავსი ტიპის ჩემპიონატებზე დასწრების ორგანიზებისთვის, მომართვიანობის შემთხვევაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ღონისძიებებზე დასწრების მსურველთა ყველა მომართვა და ინიციატივა დაკმაყოფილებულია.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N52(26.07.2023).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველია ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი’’-ს 209 3 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 1-ლი აპრილიდან. ნორმატიული აქტით მტკიცდება საჯარიმო

ქვითრის - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ფორმაც, რაც ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ელექტრონული შტამპი განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N53(26.07.2023).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“-თვის (ს/კ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 7 ივლისის N 97 (კანცელარიის ნომრით - 12/302318827-30) წერილით მომართა ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (ს/კ 233731478) დირექტორმა, რომელშიც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოჩხათში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებული ფართების N 13 (ს/კ 27.13.43..001.01.013), N 14 (ს/კ 27.13.43.001.01.014), N 15 (ს/კ 27.13.43.001.01.015), N 16 (ს/კ 27.13.43.001.01.016) და N 17 (ს/კ 27.13.43.001.01.017) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ არსებობის ვადით სარგებლობაში გადაცემა, რადგან ფართ N 17-ში განთავსებულია ბიბლიოთეკა, N 13 და N 14 ფართებს აქვს წიგნების საცავის ფუნქცია, ხოლო N 15 და N 16 ფართში ხსენებული ა(ა)იპ-ი გეგმავს სველი წერტილის მოწყობას. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“-ს გადაეცეს უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით ზემოთ აღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N54(26.07.2023).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ცვლილება გამოწვეულია ტექნიკური ხასიათის ხარვეზით, კერძოდ, მითითებული საკადასტრო კოდი 27.06.52.002 უნდა შეიცვალოს ს/კ 27.06.52.002.01.500-ით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N55(26.07.2023).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზების გეგმიდან“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ლანჩხუთში თამარ მეფის მე-2 შესახვევში მდებარე 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.06.53.289) ამოღებით მისი პრივატიზების გამო და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას და პრივატიზების გეგმაში“ ქვემოთ ჩამოთვლილი მოძრავი ქონებების დამატებით:

FORD TRANSIT - სახელმწიფო ნომრით BC-757-DB.

SKODA OCTAVIA - სახელმწიფო ნომრით AA-896-BB

SKODA OCTAVIA - სახელმწიფო ნომრით FF-535-FG

RENAULT DUSTER - სახელმწიფო ნომრით BB-309-BP

CHEVROLET LACETTI-სახელმწიფო ნომრით FF-434-FG.

საკრებულოს წევრი **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა არის მისი ბიუჯეტის შემავსებელი ნაწილი, ამიტომ ის დაინტერესდა, რამდენი წელია რაც ეს ობიექტები გამოტანილია საპრივატიზაციოდ, თანხის რა რაოდენობით არის შეფასებული და რა მოლოდინია ბიუჯეტის უზრუნველსაყოფად.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** განმარტა, რომ ამჟამად, საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტები ნუსხაში შეტანილია ხუთი წლის წინ და შეფასებულია დაახლოებით 1400000 ლარად, მაგრამ უახლოეს მომავალში იგეგმება ამ ნუსხისა და გეგმის განახლება-გადაფასება.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, ქსელურ მარკეტებს, როგორიცაა ,,მაგნიტი“ და ,,ორი ნაბიჯი“, ხომ არ გამოუთქვამთ სურვილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ფილიალების გახსნის შესახებ. მისი თქმით კარგი იქნება, თუ სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად ჩვენთანაც ძველ, ეგრეთ წოდებულ სოფლის მაღაზიებს ჩაანაცვლებს ქსელური მარკეტები, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ირგვლივ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და ბიუჯეტში თანხების მოზიდვას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ქსელური მარკეტებიდან, მხოლოდ ,,მაგნიტი“ იყო დაინტერესებული სუფსის ცენტრში ფილიალის გახსნით, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია.

საკრებულოს წევრი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, არის თუ არა საქმის კურსში მუნიციპალიტეტის მერი იმის თაობაზე, რომ ყოფილი სასწრაფო დახმარების შენობა 2022 წლის აპრილში მედალფას ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრის მიერ გასხვისებული იქნა რუსი ეროვნების პირზე, რომელიც საქართველოში აგროვებს ქონებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ

ყოფილი სასწრაფო დახმარების შენობა 2022 წელს მედალფას ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრის მიერ ელექტრონული აუქციონის წესით 18000 ლარად გასხვისებული იქნა საქართველოს მოქალაქეზე, რომელსაც უნდა ეჩუქებინა თავისი ქართველი მეგობრისთვის, რომელმაც უარი განაცხადა საჩუქრის მიღებაზე, რადგან საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ამ ქონებას მოჰყვებოდა 27000 ლარის დავალიანება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N56(26.07.2023).

დღის წესრიგის მეათე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N31 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილობითი განცხადებით მომართა ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/ნ 233730763) მენეჯერმა ნატო მენაღარიშვილმა, (კანცელარიის N 10-302316617-30 15.06.2023 წელი) რომელმაც აღნიშნა, რომ მისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, გადაცემულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანას (რეგისტრაციის ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი - 2013) აქვს მრავლობითი დაზიანება, მისი შეკეთება საჭიროებს დიდ თანხას, რისი საშუალებაც ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ (ს/კ 233730763) არ გააჩნია. მენეჯერმა მის მიერ მოყვანილი გარემოების გამო, მოითხოვა აღნიშნული უძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადდა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N31 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც წარმოდგენილი აქვს განსახილველად და დასამტკიცებლად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N57(26.07.2023).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და

სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი (N 08-302319430), რომლის თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესასრულებლად შეიძინა სპეციალური მოწყობილობები, ხოლო აღნიშნული სამუშაოების შედეგად მომზადებული დოკუმენტაცია უნდა დამოწმდეს შესაბამისი ბეჭდით. იქიდან გამომდინარე, რომ ამ დრომდე მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა შესაბამისი მოწყობილობა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესასრულებლად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულებით, სამსახურის ფუნქციათა შორის არ იყო გათვალისწინებული, როგორც საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულება, ასევე სამსახურს არ ჰქონდა შესაბამისი ბეჭედი სამუშაოების შედეგად მომზადებული დოკუმენტაციის დასამოწმებლად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ზრდას, რაც უკვე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N58(26.07.2023).

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ.** მან განმარტა, რომ შემოსულია სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2023 წლის 20 ივლისის N5/39767 მომართვა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის: სოფელ ეწერში მდებარე 160.00 კვ.მ. ს/კ (27.11.47.239) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის (ს/ნ 402157330) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით, რომელიც მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში თუ მოხდება სოფლის ამბულატორიების გადმოცემა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე, აღნიშნული დადებითად იმოქმედებს ,,სოფლის ექიმის'' პროგრამის განხორციელებაზე. საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი ერთიანი მიდგომით დაიწყებს მუშაობას ამბულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობისათვის. რათა ქვეყანაში გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N59(26.07.2023).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს, სიტყვით გამოსვლის მიზნით, მომართა მოქალაქეებმა დოდო პატარაიამ, დურმიშხან მოდებაძემ და ეგნატე ნინოშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ავთანდილ გოგიჩაიშვილმა.

მოქალაქე **დოდო პატარაიამ** ლაშისღელის მოსახლეობის სახელით ისაუბრა არსებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ დაზიანებულია ლაშისღელის სასაფლაოს ღობე და

მისასვლელი გზა, შიდა ქუჩებზე მოსაწესრიგებელია გზის საფარი და სანიაღვრე არხები, მომრავლებულია აზიური ფაროსანა და კოღო, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზა დაფარულია ველური აკაციით, ქალაქის ტერიტორიაზე არ არის სახელმწიფო საპირფარეშო და ავტოსადგომი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში მართლაც ბევრი პრობლემაა, რომელსაც შესაძლებლობის ფარგლებში, ეტაპობრივად აგვარებენ, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, კერძოდ, მშვიდობის ქუჩაზე თავიდან ბოლომდე გაკეთდა ბეტონის სანიაღვრე არხი, ხოლო ასფალტის საფართან დაკავშირებით გაკეთებულია ქალაქის რვა ქუჩის პროექტი, მათ შორის არის მშვიდობის ქუჩაც; აზიური ფაროსანას მომრავლებასთან დაკავშირებით განცხადებით უნდა მიმართოთ მერიის შესაბამის სამსახურს და იქნება რეაგირება; ქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფო საპირფარეშო უკვე გაკეთებულია, მოსაგვარებელია მცირე დეტალები და მოხდება მისი ჩაბარება, რის შემდგომაც გავა ექსპლუატაციაში; მერის მოადგილე თორნიკე ტიკაძემ, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ალეკო კირვალიძემ და ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა მაია აფხაზავამ ბორჯომში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების ხელშეწყობის შესახებ კონკურსში, სადაც გრანტის სახით მოიგეს საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო ბიუჯეტი 80000 ლარის ოდენობით, რომლითაც დაპროექტდება ლანჩხუთის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. კერძოდ: აშენდება აგრარული ბაზარი, ავტოსადგური და ბავშვთა გასართობი სკვერი ატრაქციონებით. მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე მოხდება შესაბამისი თანხის მოთხოვნა საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან. პროექტი იქნება გარდამავალი, დაიწყება 2024 წელს და დასრულდება 2025 წლისთვის. თანადაფინანსება განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ, ასევე ქალაქ ლანჩხუთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ის მერის მოადგილესთან **თორნიკე ტიკაძესთან** ერთად იმყოფებოდა ლაშისღელის სასაფლაოზე და ღობე არ არის დაზიანებული; მისთვის ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა ქალბატონი დოდო პატარაიას ხილვა სხდომაზე, რადგან ის ხშირად ხვდება ამ ქალბატონს და მისგან პირადად არასოდეს არ მოუსმენია იმ პრობლემების შესახებ, რაზეც დღევანდელ სხდომაზე ისაუბრა.

მოქალაქე **დურმიშხან მოდებაძემ** მადლობა გადაუხადა ნიგვზიანის მაჟორიტარ დეპუტატს, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს, რადგან მისი დეპუტატობის პერიოდში სოფელ არჩეულში მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, დაიგო ასფალტის საფარი და მოგვარდა წყლის პრობლემა, თუმცა კვლავ მძიმე და აქტუალურია ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზის პრობლემა, რომელსაც 30 წელზე მეტია არ მიეწოდება ელექტრო ენერგია, რის გამოც ზიანდება და თითქმის განადგურების პირასაა ექსპონატები და ტურისტებისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი, ასევე აღნიშნა, რომ სახლ-მუზეუმის პერსონალს აქვს დაბალი ანაზღაურება და საჭიროა ხელფასების მატება. მან გამოთქვა სურვილი, რომ კომპეტენტური პირების მონაწილეობით შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის საკითხს და დასახავს გზებს პრობლემის მოსაგვარებლად.

მოქალაქე დურმიშხან მოდებაძემ აღნიშნა, რომ სოფელ არჩეულში გასაკეთებელია მოსაცდელი.

ნიგვზიანის მაჟორიტარმა დეპუტატმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ გასულ წელს, სოფლის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის გადაწყვეტილებით გაკეთდა სასაფლაოსთან მისასვლელი გზა, რომელიც უკიდურესად იყო დაზიანებული, ხოლო მიმდინარე წელს გაკეთდება ახალი მოსაცდელი. მან ასევე ისაუბრა თუ რა გაკეთდა ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის პრობლემებთან მიმართებაში მისი, როგორც ნიგვზიანის მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევით. კერძოდ:

შენარჩუნებული იქნა ექვსი საშტატო ერთეული, რომელიც გაუქმებას ექვემდებარებოდა;

ხუთი ჰექტარი მიწა, რომელიც სატყეოს ჰქონდა წაღებული, დაუბრუნდა მუზეუმს;

დაიგო მუზეუმთან მისასვლელი ხუთ კილომეტრიანი გზა;

მუზეუმის ადმინისტრაციისთვის გაკეთდა ახალი შენობა;

მოეწყო განათებები;

2022 წლის იანვარში საკრებულოს სხდომაზე გავიდა და დამტკიცდა განკარგულება, რომლის მიხედვითაც იგეგმება მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ეგ. ნინოშვილის სახლ-მუზეუმში და ეგნატე ნინოშვილის სახელობის მუზეუმში საგამოფენო დარბაზის მშენებლობა, რის შემდგომაც ყველანაირად ცდილობს ამ კუთხით საჭირო თანხების მოძიებას.

ეგნატე ნინოშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორმა **ავთანდილ გოგიჩაიშვილმა** აღნიშნა, რომ მუზეუმში იყო უამრავი პრობლემა და ბატონი ბესიკ ტაბიძის ჩართულობით, ნაწილი პრობლემებისა მოგვარდა, ნაწილი თანდათანობით გვარდება, მაგრამ რიგ საკითხებზე საჭიროა დროულად რეაგირება, რისთვისაც მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს წევრებს ადგილზე გაეცნონ პრობლემებს და დასახონ მათი მოგვარების გზები. დასასრულს მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვისაც თუნდაც მცირეოდენი წვლილი მიუძღვის მუზეუმის საკეთილდღეოდ საქმიანობაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ის კარგად იცნობს სახლ-მუზეუმის შესახებ არსებულ პრობლემებს, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მათ მოსაგვარებლად ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა და ახლა მიმდინარეობს სამუშაოები ყველაზე პრობლემური საკითხის, სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზის გასაკეთებლად.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** ისაუბრა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ პრობლემებზე. კერძოდ მან მოითხოვა:

1. სოფელ გრიგოლეთში გამოიყოს ადგილი მგზავრთა მოსაცდელის გასაკეთებლად;

2.სარეზერვო ფონდიდან სიმსივნით დაავადებული ქალბატონის თინა გოგიჩაიშვილის დახმარება;

3.ოთხ შვილიანი რუსლან და თამილა აბულაძეების ოჯახისთვის საკვები პროდუქტებით დახმარება;

4. სუფსაში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან ჯართის გატანა და მოწესრიგება;

5.მოითხოვა პასუხები საჯარო ინფორმაციებზე, რომლებიც ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ მაკა მშვიდობაძემ გადაუგზავნა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს მისწერა წერილი მიეწოდებინა, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ ადამიანთა რეესტრი, თანამდებობა და ანაზღაურება, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიუღია, რაც მისი თქმით ძალიან შეურაცხმყოფელია. ის ასევე დაინტერესდა, შეხვდა თუ არა მუნიციპალიტეტის მერი რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ახალდანიშნულ დირექტორს ირაკლი ბერიას და რა ხდება მედალფას ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრის ირგვლივ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ის მიესალმება მოქალაქეების ჩართულობას მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების წარმოჩენის კუთხით, რასაც დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე,** რომელმაც ისაუბრა ბოლო პერიოდში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების ირგვლივ. კერძოდ:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღების უმეტესობა არის ახალი და აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს. დარჩენილია მხოლოდ სამი(ჩიბათის, ჯურუყვეთის, ეწრის), რომლებზეც ტენდერი უკვე გამოცხადებულია და საბოლოოდ ყველა საბავშვო ბაღი იქნება მოწესრიგებული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

2. მიმდინარე წელს, ქალაქ ლანჩხუთში, ასფალტის საფარი დაიგო ათ ქუჩაზე და ამ ეტაპზეც მიმდინარეობა სამუშაოები.

3. ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ ფაზაშია მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

4. ყველა საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, სხვა პრობლემებთან ერთად ბატონი

ბესიკ ტაბიძე აქტიურად საუბრობს ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის პრობლემებზე, რომლის პროექტი უკვე გაკეთებულია და ეს საკითხი მალე მოგვარდება.

საკრებულოს წევრმა **ნინო მშვიდობაძემ** მოუწოდა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას განიხილოს საკრებულოს წევრის ირმა მგელაძის საკითხი, რომელიც გამოირჩევა არაკორექტული და არაკოლეგიალური დამოკიდებულებით საკრებულოს წევრი ქალბატონების მიმართ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:

სოფელ გრიგოლეთში მგზავრთა მოსაცდელის გაკეთება არ წარმოადგენს პრობლემას, მაგრამ

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურს უნდა მიმართონ წერილობით, კონკრეტული ლოკაციის მითითებით და თუ მითითებული ლოკაცია უთანხმოებაში არ მოვა საგზაო ნიშნებთან მიმართებაში, რასაც გადაწყვეტს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, გაკეთდება აზომვითი ნახაზი და მოგვარდება პრობლემა.

მუნიციპალიტეტს აქვს დაახლოებით მილიონი ლარის სხვადასხვა სოციალური დახმარებები, ერთჯერადი დახმარებები გაუქმებულია, ხოლო თუ ადამიანს ჭირდება გადაუდებელი დახმარება, ამ კუთხით არასოდეს უარი არ ყოფილა, მაგრამ სარეზერვო ფონდი არ არის სოციალური დახმარებისთვის, ის განკუთვნილია სტიქიისა და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციებისთვის, ამიტომ ქალბატონი თინა გოგიჩაიშვილის შემთხვევაში უნდა იქნეს მოტანილი საჭირო დოკუმენტაცია და იქნება შესაბამისი რეაგირება.

რუსლან და თამილა აბულაძეების ოჯახს, თუ ისინი სოციალურად დაუცველია ან ჰყავთ სამი ან მეტი შვილი მათ ისედაც ექნებათ სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის პროგრამული დახმარება, მაგრამ როცა მათ აწვდიან კალათს საკვები პროდუქტებით ეს არის სხვადასხვა ტიპის შემოწირულებები, რომელიც ერთი და იგივე პირებზე არ გაიცემა.

სუფსაში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან ჯართის გატანის თაობაზე ჩამოსული იყვნენ რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენლები და დადეს პირობა, რომ მათი ქონების ნაწილი, კერძოდ, სუფსის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჯართი, გატანილი იქნება, მაგრამ ჯერ არ შეუსრულებიათ პირობა, ამიტომ კიდევ ერთხელ მივწერთ და მკაცრად მოვითხოვთ პირობის შესრულებას.

მუნიციპალიტეტის მერს ჰქონდა შეხვედრა რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ახალდანიშნულ დირექტორთან ირაკლი ბერიასთან, მაგრამ იქ არ ყოფილა საუბარი მედალფას ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრის შესახებ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ უპასუხოდ დარჩება ყველა წერილი, რომელთა პასუხიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 ივლისი **2023** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 55	
2	ემზარ თევდორაძე	11 55	
3	ვერიკო კვირკველია	11.57	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	
5	გიორგი ხელაძე	11 55	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
10	ია მოქია	11:50	
11	კახაბერ ასკურავა	11 50	
12	მაკა მშვიდობაძე	11:55 წთ.	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 58	
14	კარლო წილოსანი	11:59	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
16	ნინო მშვიდობაძე	11:58	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11- 54	
19	გიორგი გოგუაძე	11 50	
20	გოჩა ჯანაშია	11 05	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 55	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 55	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11.55	
25	ირმა მგელაძე	11.50	
26	გივი ცინცაძე	11-30	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11.45	